ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 9

ქ. თბილისი

28.06.2018

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე

2. **გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" სკოლის პარტნიორი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს სხდომის.მდივანი

4. **გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდი „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

5. **ხათუნა ბარაბაძე** - სსიპ - თბილისის პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლის დირექტორი;

6. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა - თბილისის" აკადემიური დირექტორი;

7. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის მართვისა და დაგეგმვის

საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

8. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;

9. **დავით მალაზონია** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

10. **მარინა უშვერიძე** - PH-International - საქართველოს ოფისის სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო ჟვანია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

მზია ყანჩელი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

შალვა ქენქაძე -ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ-კრეატიული განათლების სკოლა

კახაბერ წამალაიძე - სკოლის დირექტორი

თინათინ ვასაძე - სკოლის აკადემიური ხელმძღვანელი

2. შპს მილენიუმი

ე. ლეკვეიშვილი- სკოლის დირექტორი

ხათუნა კაპანაძე - დირექტორის მოადგილე

ანა აფხაზავა - ბუღალტერი

3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლა

ი. მესხიშვილი - სკოლის წარმომადგენელი

მეგი ტალახაძე - სკოლის წარმომადგენელი

მაია კუბეტოვა - სკოლის წარმომადგენელუი

4. შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარი

დარეჯან ქადაგიძე - სკოლის წარმომადგენელი

ლალი გარდაფხაძე - დირექტორის მოადგილე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

მანანა თურქაძე

მაია ინასარიძე

პეტრე ბაბილუა

იანინა გიგიბერია

ნინო ფეტვიაშვილი

თამარ ამზაშვილი

ნინო ბალანჩივაძე

ლალი ბერიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე მანანა რატიანი.

სხდომა გაიხსნა 17:20 საათზე, სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1 ა(ა)იპ-კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

2. შპს მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

4. შპს ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოსთან დააყენა შუამდგომლობა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებულ განსახილველ საკითხებს დამატებოდა ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 აპრილის N 7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

შუამდგომლობას დაეთანხმნენ საბჭოს წევრები და დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი:

1 ა(ა)იპ-კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

2. შპს მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

4. შპს ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

5. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 აპრილის N 7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ-კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, მანანა თურქაძემ და მაია ინასარიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს, დაესახელებინათ ძირითადი საკითხები სკოლასთან მიმართებაში. მათ აღნიშნეს რომ სკოლა საკმაოდ მცირე კონტიგენტიანი იყო და მასში სწავლობდა 30 ბავშვი, ასევე ამ დაწესებულებას არ ჰქონდა ინფრასტრუქტურული პრობლემები. სკოლას ჰქონდა 6 საკლასო ოთახი, რომელთაგან 1-ში დროებით განთავსებული იყო ადმინისტრაცია, რადგან იმ ეტაპზე 4 კლასზე მეტი არ იყო. როგორც სკოლის ხელმძღვანელობამ აღნიშნა, საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაცია გამოათავისუფლებდა ფართს და ის განთავსდება პირველ სართულზე მდებარე ოთახში, რომელიც იმ ჟამად სამასწავლებლოს ფუნქციას ასრულებდა. ასევე, ერთ საკლასო ოთახში განთავსებული იყო ლაბორატორია. სკოლას პირველ სართულზე ჰქონდა ერთი სამასწავლებლო და ორი მცირე ზომის დამხმარე ოთახი, რომლებსაც ჰქონდა მეორადი განათება.

სკოლაში იყო 66 ინდივიდუალური მერხი, 70 სკამი, ყველა კლასში მაგიდა და სკამი მასწავლებლისათვის. კლასები აღჭურვილია ბორდდაფებით.

საკლასო ოთახების ფართის გათვალისწინებით (ერთ ცვლაში), სკოლაში შეიძლება განთავსებულიყო მხოლოდ 50 მოსწავლე.

გარდა ამისა ექსპერტებმა აღნიშნეს რომ სკოლა ტექნიკური თვალსაზრისითაც სრულიად გამართული იყო. მას ჰქონდა კომპიუტერების საკმარისი რაოდენობა, ასევე მაღალი ხარისხის ვიდეოთვალები სკოლის პერიმეტრის გასაკონტროლებლად.

პრობლემას რომელიც ექსპერტმა გამოკვეთა იყო კლასებში ბავშვთა მცირე რაოდენობა. ვინაიდან მისი შეფასებით კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის ეს პრობლემას წარმოადგენდა.

სკოლას ჰყავდა 22 თანამშრომელი. მათ შორის: დირექტორი, აკადემიური ხელმძღვანელი, , სკოლის ადმინისტრატორი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, მედდა, 17 მასწავლებელი. ექსპერტი აღნიშნავს, რომ ამ სკოლაში მასწავლებლები სხვა სკოლებიდანაც დადიოდნენ, ანუ ისინი შეთავსებით მუშაობდნენ. ექსპერტებმა გამოკვეთეს ის გარემოებაც რომ, ბიოლოგიისა და მათემატიკის მასწავლებლი ვერ აკმაყოფილებდნენენ მასაწავლებლის პროფესიაში შესვლის სავალდებულო მოთხოვნებს, თუმცა ორივე შემთხვევაში ეს პირები დროებით,იყვნენ ბრძანებით დანიშნულები მასწავლებლის შესაბამისი კანდიდატის ჩანაცვლებამდე. ერთ შემთხვევაში პედაგოგი ვერ აკმაყოფილებდა საჭირო მოთხოვნებს - საგზაო წესებისა და უსაფრთხოების ნიშნების პედაგოგს არა ჰქონდა მასწავლებლის კვალიფიკაცია. ის ასევე სკოლის ადმინისტრატორი და ბიბლიოთეკარი იყო. პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი თანამშრომლობის გზით მუდმივად ვითარდებოდნენ. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ურო მეტი იზრუნოს, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას და მასწავლებლებს მოსთხოვოს კომპეტენციის დადასტურების გამოცდაზე გასვლა.

სკოლის წარმომადგენელმა საგზაო ნიშნებთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ 14 სექტემბერს მასწავლებელმა რომელიც უძღვებოდა ამ საგანს, სხვა სკოლაში გადასვლასთან დაკავშირებით, პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა სკოლა. შესაბამისი განცხადებების გამოქვეყნების მიუხედავად იმ პერიოდში ვერ მოიძებნა მასწავლებელი ამ საგნისთვის. თუმცა დღესდღეობით მასწავლებელი უკვე შერჩეულია.

ექსპერტმა სპორტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სკოლას არ ჰქონდა სპორტული დარბაზი, საცურაო აუზი და სტადიონი, მაგრამ ფოიეში მოწყობილი იყო ფართი მაგიდის ჩოგბურთისა და ჭადრაკისათვის შესაბამისი ინვენტარით. ასევე გაფორმებული ჰქონდათ ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი თბილისში, თავაძის ქ. N3-ში მდებარე კოოპერატიული ბინათმშენებლობის თავმჯდომარესთან საფეხბურთო მოედნით სარგებლობაზე შეჯიბრებების ჩასატარებლად. ეს

სტადიონი იყო ეზოს ტერიტორიაზე და მასზე მოსახვედრათ ბავშვებს არ სჭირდებათ გზაზე გადასვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ როგორი იყო დასწრება სკოლაში მათი იქ ყოფნის დროს. ექსპერტებმა აღნიშნეს რომ ამ პერიოდში კატის პროგრამით იყო გამოცდა და ისინი შეხვდნენ ბავშვებს, ასევე გაესაუბრნენ მშობლებს.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 50 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ-კრეატიული განათლების სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-კრეატიული განათლების სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 50-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ-კრეატიული განათლების სკოლას (ს/კ: 404908230) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 50-ით.

2. შპს მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, პეტრე ბაბილუამ და იანინა გიგიბერიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

2.1 ექსპერტ პეტრე ბაბილუას განცხადებით სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული იყო 2017 წლის 8 სექტემბერს პედსაბჭოს N1 სხდომაზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ 2017 წლის N 38/1 ბრძანებით.

სკოლამ 2018 წლის 11 იანვარს შეიცვალა სახელი, რაც დასტურდებოდა საქართველოს ეროვნული სააგენტოს საჯარო რეესტრის მიერ. სკოლის ახალი სახელი იყო შპს მილენიუმი - დასტურდებოდა საჯარო რეესტრიდან ამონაწერით (N 02.03.05.021; 13.04.2018.).

სასკოლო სასწავლო გეგმა წარმოდგენილი იყო სკოლის ძველი სახელით - შპს „ნ & ნ“ 2000-ის კერძო სკოლა „მილენიუმი“. წარმოდგენილი მისიაც, შესაბამისად, ეკუთვნოდა შპს „ნ & ნ“ 2000-ის კერძო სკოლა „მილენიუმს“. რიგ დოკუმენტებში ასახული იყო სკოლის ახალი სახელი.

სკოლის ადმინისტრაციას მიეცა რეკომენდაცია მოქმედ დოკუმენტაციებში სკოლის დასახელების შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. ვიზიტის პერიოდშივე ყველა დოკუმენტი მოვიდა შესაბამისობაში ახალ სახელთან.

2.2 ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ სამივე სტანდარტი, რაც მათ შეამოწმეს სკოლაში წესრიგში იყო. ისინი ასევე გაესაუბრნენ ამ დაწესებულების მოსწავლეების მშობლებს. გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ შპს მილენიუმი ღია და გამჭვირვალე დაწესებულებაა, სადაც მშობლებს არ ექმნებათ მასწავლებლებთან და ადმინისტრაციის წევრებთან ურთიერთობების ბარიერი და გრძნობენ სკოლის თანადგომას თავიანთი შვილების წინსვლისა და განათლების საქმეში. მშობლებმა გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ ისინი ხშირად იკრიბებიან სკოლაში სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე სამსჯელოდ. ბოლო პერიოდში მათ გამართეს მსჯელობა-დისკუსია ბულინგზე და სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების როლზე მოზარდის აღზრდის პროცესში.

ექსპერტმა პეტრე ბაბილუამ ყურადღება გაამახვილა ფართის საკითხზე და აღნიშნა, რომ სკოლა შპს მილენიუმი განთავსებული იყო ქალაქ რუსთავში, 21-ე მიკრორაიონის მიმდებარე ტერიტორიაზე და ფუნქციონირებდა ორსართულიან შენობაში, რომლის საერთო ფართი იყო 2032,5 კვ. მ.

სკოლის შენობა იყო შპს მილენიუმის საკუთრება, თუმცა ამ ეტაპზე სკოლას ჰქონდა სესხი და შენობა დატვირთული იყო იპოთეკით.

სხდომის თავმჯდომარემ მანანა რატიანმა დასვა კითხვა ხსენებულ სესხთან დაკავშირებით. რაზეც სკოლის წარმომადგენლის პასუხით გაირკვა, რომ 2012 წლიდან სასესხო ვალდებულების დაფარვა „ქართუ ბანკისათვის" იყო შეჩერებული და გადახდა განახლდა 2014 წლის ოქტომბერში და გაგრძელდა უწყვეტ რეჟიმში, 2015 წლის ივნისამდე.

სკოლას „ქართუ ბანკთან" ჰქონდა შეთანხმება თანხის ტრანშებად გადახდასთან დაკავშირებით. სკოლას „ქართუ ბანკისათვის" ერთიანი თანხა ჩაურიცხავს [60000 დოლარი - გაყიდული მიწის ნაკვეთის საფასური. (იხ. დანართი N 2). ამის გამო ამ ეტაპზე აღარ იხდიდა და ელოდებოდა მომდევნო ასეთივე მსხვილ შემოსავალს - შემდეგი ნაკვეთის გაყიდვას.

2.3 შპს მილენიუმში დასაქმებული იყო 50 თანამშრომელი. მათგან 34 მასწავლებელი იყო, 4 - დირექციის წევრი, 3 - ადმინისტრაციის წევრი და 9 - ტექნიკური პერსონალი. ყველა მასწავლებელი ჩართული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში. აქედან 1 წამყვანი მასწავლებელი იყო, 12 უფროსი მასწავლებლი, ხოლო 20 - პრაქტიკოსი, 1 იყო საგზაო ნიშნების მასწავლებელი.

მასწავლებლებს ჰქონდათ პორტფოლიოები, რომლებშიც განთავსებული იყო ინფორმაცია პროფესიული განვითარების შესახებ: სერტიფიკატები, დაგეგმილი გაკვეთილები, ანგარიშები, ურთიერთდასწრების ოქმები, საკუთარი გაკვეთილების რეფლექსიები, ღონისძიებების ჩამონათვალი და სხვა.

მასწავლებლებს სასკოლო სასწავლო გეგმისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად ჩატარებული ჰქონდათ შემაჯამებელი დავალებები. შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესრულებული ნამუშევრებითურთ, წარმოდგენილი იყოი მოსწავლეთა პორტფოლიოებში, ხოლო შემაჯამებელი სამუშაობის ანალიზები წარმოდგენილი იყო მასწავლებელთა პორტფოლიოში. მასწავლებლებთან გასაუბრებისას დაზუსტდა კათედრების სხდომებზე განხორციელებული სამუშაოების ჩამონათვალი. კათედრის გამგეებმა აღნიშნეს, რომ მასწავლებლების მიერ შემაჯამებელი დავალებების გაანალიზების შედეგებს განიხილავდნენ კათედრებზე და შემაჯამებელი დავალებების საერთო ანალიზით იქმნებოდა სრული სურათი, რაც იძლეოდა სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ზრუნვის საშუალებას.

ამასთან დაკავშირებით საბჭოს წევრმა ხათუნა ბარაბაძემ დასვა შემდეგი სახის შეკითხვა, რამდენად ხორციელდებოდა სკოლაში კარიერული წინსვლა და აისახებოდა თუ არა ეს ხელფასზე ან რაიმე სხვა ტიპის წამახალისებლებზე, ექსპერტმა პეტრე ბაბილუამ კი უპასუხა, მასწავლებელებთან გასაუბრებისას მიიღეს ინფორმაცია, რომ ის საჭიროებები რომლებიც წარმოიშობოდა კათედრებში მუშაობისას სკოლა აფინანსებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 220 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს მილენიუმის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მილენიუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 220-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მილენიუმს (ს/კ: 216373797) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 220-ით.

3. შპს ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ფეტვიაშვილმა და თამარ ამზაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით შპს ქართულ-ამერიკული სკოლა Georgian-American School-ის მიერ სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი იყო 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა განხილული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ 2017 წლის 4 სექტემბერს.

ვიზიტის დროს სკოლის დირექციამ წარმოადგინა 2018-2019 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, რომელიც დამტკიცდებოდა 2018-2019 სასწავლო წლის დაწყებამდე.

2018 წლის 15 სექტემბრიდან ძალაში შედიოდა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი საფეხური), ამიტომ ექსპერტების მიერ მოხდა ორივე დოკუმენტის შესწავლა და შედარება.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომელიც აზუსტებდა სკოლისთვის ეროვნულ სასწავლო გეგმაში მოცემულ აუცილებელ დატვირთვას, განსაზღვრავდა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას.

სკოლის საათობრივი ბადე მოიცავდა I-VI და VII -XII კლასების გაკვეთილების განრიგს. სასკოლო საათობრივ ბადეში შეტანილ წრეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწნებულ/გაუთვალისიწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა არასავალდებულო, დამატებითი მომსახურეობის სახით. მოსწავლეებს საშუალება ეძლეოდათ სურვილისამებრ შეერჩიათ და ესარგებლათ წრეობრივი მომსახურეობით. 2017-2018 სასწავლო წლის საათობრივ ბადეში ასახული საგნობრივი დატვირთვა არ იყო შესაბამისობაში ესგ-ს მოთხოვნებთან. მაგ. ქართული ენისა და ლიტერატურის კვირეული დატვირთვა პირველ-მეორე კლასებში ნაცვლად 7 აკ/საათისა იყო 10 აკ/საათი, მესამე კლასებში 11 აკ/საათი. ანალოგიური მდომარეობა იყო მათემატიკაში, რამაც გამოიწვია კვირეული ჯამური საათების გაორმაგება და ნაცვლად 21-23 აკადემიური საათისა იყო 40 აკადემიური საათი, თავისი 25%-იანი ცვლილებით. ეს კი ყველანაირი დასაშვებ ზღვრულზე მეტი იყო.

ვიზიტის მსვლელობისას, სკოლის ადმინისტრაციას ექსპერტების მიერ მიეცა რეკომენდაცია სკოლის ახალი საათობრივი ბადე შესაბამისობაში მოეყვანათ ესგ-ს მოთხოვნებთან, რაც სკოლამ ასახა 2018-2019 სასწვლო წლის სასკოლო გეგმის პროექტში, აგრეთვე გაითვალისწინა რეკომენდაცია ე.წ. „დიდი დასვენებების" გაზრდასთან დაკავშირებით.

სკოლის წარმომადგენლებმნა აღნიშნეს, რომ მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაციები და ხარვეზი აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გრიგოლ მურღულიამ განაცხადა, მოსწავლეთა ასეთი აკადემიური დატვირთვა დაუშვებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ 18:00 საათზე გამოაცხადა შესვენება.

საბჭოს სხდომა გაგრძელდა 18:20 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტთან დააყენა შუამდგომლობა, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სკოლაში სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ განხორციელებულიყო მონიტორინგი სკოლის მხრიდან რეკომენდაციების რეალურად შესრულების გადასამოწმებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.2. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, შპს ქართულ-ამერიკული სკოლა.Georgian-American School განთავსებული იყო 2 დამოუკიდებელ კორპუსში. სკოლა დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო მიზნებისათვის სარგებლობდა ნინო რამიშვილის ქ. N6 შენობა-ნაგებობით,

რომლის საერთო ფართი იყო - 1790.35კვ.მ., ხოლო საბაზო და საშუალო საფეხურისთვის - შოვის ქუჩა N3 შენობა-ნაგებობით, რომლის ფართი - 795.4კვ.მ იყო.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლას ორივე შენობაში ჰქონდა სათანადოდ აღჭურვილი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები შესაბამებოდა „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572-ე ბრძანებას.

სკოლის ორივე შენობაში ფუნქციონირებდა ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი შეადგენდა 2569 ერთეულს. მათ შორის იყო სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა (1911 ერთეული) და სხვ. წიგნები დამუშავებული იყო შესაბამისი წესით. ბიბლიოთეკაში გამოკრული იყო დებულება და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები, იდგა სამუშაო მაგიდები და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

3.3. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, სკოლაში სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სასწავლო პროცესს ემსახურებოდა 83 თანამშრომელი, საიდანაც 62 მასწავლებელი იყო. სკოლაში ვიზიტის პერიოდში ირიცხებოდა 347 მოსწავლე. სკოლას ჰყავდა 37 უფროსი მასწავლებელი, წამყვანი - 1, დანარჩენები პრაქტიკოსები იყვნენ.

შპს ქართულ-ამერიკული სკოლის მასწავლებლები ჩართულები იყვნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითრების და კარიერული წინსვლის სქემაში, რომლის ფარგლებშიც ხორციელდებოდა პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. სკოლას ჰყავდა შიდა შეფასების ჯგუფი, რომლიც ხელს უწყობდა მასწავლებელთა პროფესიულ განვითრებას სქემის ფარგლებში არსებული აქტივობების გათვალისიწნებით და სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 450 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ქართულ-ამერიკული სკოლის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ამერიკული სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 450-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ამერიკულ სკოლას (ს/კ: 404965169) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 450-ით.

4. შპს ქ.თბილისის საშუალო სკოლა ლამპარში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ნინო ბალანჩივაძემ და ლალი ბერიშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1 ექსპერტმა აღნიშნა რომ სკოლამ ავტორიზაცია მიიღო 2016 წელს ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართით, ექსპერტთა ინფორმაციით როდესაც იქ განხორციელდა მონიტორინგი აღმოჩნდა, რომ სკოლა პარალერულად ახორციელებდა სასწავლო პროცესს სხვა მისამართზეც და აქედან გამომდინარე, საბჭოს რეკომენდაციით არსებულ მისამართზე განხორციელდა მონიტორინგი, მიზანი იყო მატერიალური და ადამიანური რესურსის შემოწმება.

მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა გარკვეული ხარვეზები ლაბორატორიასთან, უსაფრთხოების ნორმებთან თუ პანდუისების არარსებობასთან დაკავშირებით, თუმცა შესაბამისი რეკომენდაციების მიცემის შემდეგ სკოლამ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზები.

სპორტთან დაკავშირებით ექსპერტის თქმით, სასკოლო საათობრივი ბადით ირკვეოდა, რომ მოსწავლეებს სპორტის გაკვეთილები უტარდებოდათ აღნიშნული დატვირთვის ფარგლებში;

- I-IVკლასებში - 1 სთ. ეთმობოდა ჭადრაკს, 1სთ. - სპორტს.
- V-XII კლასებში - 1სთ ეთმობოდა სპორტს.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო სკოლის მიერ შერჩეული სპორტის სახეობები: ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი და ჩოგბურთი დოკუმენტურად არ დგინდებოდა. სკოლის მეორე

კორპუსს არ გააჩნდა ჩოგბურთის გაკვეთილების ჩასატარებლად შესაბამისი მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ტრანსპორტირება პირველ კორპუსში კი ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. ექსპერტებმა ასევე აღნიშნეს, რომ მე-10, მე-11 და მე-12 კლასების სათობრივ ბადეში და ცხრილში მმათ სპორტის გაკვეთილები ვერ ნახეს.

სკოლის წარმომადგენელმა ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მე-10, მე-11 და მე-12 კლასებთან დაკავშირებით პირველ სემესტრში ისწავლებოდა სპორტი, ხოლო მეორე სემესტრში არა. რაც შეეხებოდა სპორტის ერთ-ერთ სახეობას ჩოგბურთს, იგი ჩაანაცვლეს არჩევითი საგნით, თანამედროვე ცეკვებით.

სკოლის წარმომადგენელმა საპასუხოდ აღნიშნა, რომ სკოლა ყველა რეკომენდაციას გაითვალისწინებდა მომავალი სასწავლო წლისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰყქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 0

წინააღმდეგი - 10

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ქ. თბილისის საშუალო სკოლა ლამპარის (ს/კ:209471258) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

5. „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 აპრილის N 7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ზოგადი განათლების ხარისხის უზეუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 5 აპრილის N 7 გადაწყვეტილებაში ცლილება შესატანი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

საბჭოს გადაწყვეტილება:

ცვლილება განხორციელდეს „ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონის ავტორიზაციის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 5 აპრილის №7 გადაწყვეტილებაში და ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა კეთილმსახური მეფე თამარის სახელობის სკოლა - პანსიონს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 100 - ით, პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე ზღვრული რაოდენობები გადანაწილდეს შემდეგნაირად:

	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	მემინანქრე	მესამე	მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080355	30	ქართული	20	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
2	თექის ხელოსანი	მესამე	თექის ხელოსნის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080364	30	ქართული	25	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
3	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტი	მესამე	ხის მხატვრული დამუშავების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080367	60	ქართული	25	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13
4	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 080360	60	ქართული	30	თბილისი, სამღერეთის ქუჩა №13

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე:

მანანა რატიანი

მდივანი:

თამილა ჩუბინიძე